საინფორმაციო ბიულეტინი

ადვოკატირება

ასოციაცია „ჰერა XXI"-ს გასვლითი შეხვედრები ქვემო ქართლის რეგიონში

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში 2018-2020 წლისთვის, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმასა და საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმაში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების ინტეგრაციის დონის განხილვის მიზნით, ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციასთან პარტნიორობით, ასოციაცია "ჰერა XXI", 2019 წლის აპრილი-მაისის პერიოდში აქტიურად მუშაობდა **გარდაბანის, მარნეულის წალკის, ბოლნისის, თეთრიწყაროსა და დმანისის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოს წევრებთან, ქალთა ოთახის წარმომადგენლებსა და საქალაქო სამსახურების თანამშრომლებთან**. შეხვედრების ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს სახელმწიფო პოლიტიკის

დოკუმენტებში ასახული სექუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები. შეხვედრების მიზანი იყო ადგილობრივი ხელისუფლების, მათ შორის გენდერული საბჭოებისა და ქალთა ოთახის როლის გაძლიერება აღნიშნული საკითხების შესრულებასა და მონიტორინგში. მხარეებმა ასევე განიხილეს თვითმართველობების წინაშე არსებული გამოწვევები და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები.

მუნიციპალიტეტთან შეხვედრები ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულების, ადვოკატირების ფარგლებში იმართება.

პროფესიული ჯგუფების განათლება

სალექციო კურსი „სენსიტიური თემების გაშუქება მედიაში“ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის

საზოგადოებაში მედიას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ის უნდა იყოს სწორი, მიუკერძოვებელი და დაბალანსებული ინფორმაციის მიმწოდებელი. მედიას აქვს ძალა, როგორც შექმნას ჯანსაღი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ, ასევე გაამყაროს და გააძლიეროს ნეგატიური სტერეოტიპები. საქართველოში, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები უამრავ სტიგმას უკავშირდება, ამის გამო, ხშირად მათ სწორი გაშუქება ვერ ხერხდება.

სწორედ ამიტომ, ასოციაცია „ჰერა XXI” უკვე მესამე წელია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან (სეუ). უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მომიჯნავე მიმართულებების სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეარათ სასწავლო კურსი - „სენსიტიური თემების გაშუქება მედიაში“.

კურსი მიზნად ისახავდა მომავალი ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას და იმ უნარების გამომუშავებას, რომელიც მათ დაეხმარება აღნიშნული საკითხების სწორად, საერთაშორისო სტანდარტების დაცვითა და კვალიფიციურად გაშუქებაში. კურსის ფარგლებში, მონაწილეებმა

იმსჯელეს მედიის, როგორც საზოგადოებაში ნეიტრალური, სწორი და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიმწოდებლის როლის მნიშვნელობაზე. სტუდენტებმა განიხილეს, ის რისკები, რომლებიც უკავშირდება მსგავს მგრძნობიარე საკითხებზე არასწორი და სტერეოტიპების გამამყარებელი ინფორმაციის გავრცელებას.

გარდა თეორიული ცოდნის მიღებისა, მონაწილეებმა შეასრულეს პრაქტიკული დავალებებიც, რომელთა მეშვეობით გაიცნეს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებული სენსიტიური რეპორტინგის სტანდარტები.

ტრენინგები სოციალური მუშაკებისთვის

სოციალური მუშაკი ეს არის პროფესია, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდების, ჯგუფებისა და საზოგადოებების სოციალური ფუნქციონირების ამაღლებას და მათ პოტენციალის სრული რეალიზაციის საშუალებას აძლევს. სოციალური მუშაკი ხელს უწყობს სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას და განვითრებას. სოციალური მუშაკის როლი, მოწყვლადი ჯგუფების დაცვასა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაში უმნიშნელოვანესია.

სწორედ ამიტომ, 2019 წლის მაისში, ასოციაცია „ჰერა XXI"-ის ორგანიზებითა და ინიციატივით ჩატარდა ტრენინგი სოციალური მუშაკებისთვის. ტრენინგში მონაწილეობას **სოციალური მომსახურების სააგენტოს, პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური მუშაკები** იღებდნენ.

ტრენინგის მიზანი იყო სხვადასხვა სექტორში დასაქმებული სოციალური მუშაკებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. ტრენინგის შედეგად მიღებულ ცოდნას სოციალური მუშაკები სამომავლოდ პრაქტიკაში გამოიყენებენ და შეძლებენ თემასთან დაკავშირებული სტანდარტების დაცვით შეასრულონ პროფესიული საქმიანობა.

გარდა ამისა, გადამზადებული სოციალური მუშაკები **ქვემო ქართლში, იმერეთსა და თბილისში** ჩაატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებსა და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

ახალგაზრდები

ასოციაცია „ჰერა XXI"-ს ახალგაზრდული ჯგუფის მიერ ჩატარებული ფორუმ თეატრები

ასოციაცია „ჰერა XXI" ყოველწლიურად ამზადებს თანასწორგანმანათლებლებს, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ თანატოლების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ამაღლებაზე. 2019 წლის მაისში, ასოციაცია "ჰერა XXI"-ს ახალგაზრდული ჯგუფის ინიციატივით, თბილისის ორ საჯარო სკოლაში გაიმართა ფორუმ თეატრი, რომელიც საქართველოში ინოვაციურ მეთოდს წარმოადგენს.

ფორუმ თეატრის მიზანს წარმოადგენდა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობასა და ცნობიერების გაზრდა, მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაცია და ახალგაზრდულ აქტივობებში ჩართვა.

ღონისძიების ძირითადი თემა წარმოდგენილი იყო ცოცხალი ისტორიების სახით, რომლებიც მოიცავდა ადრეული ქორწინებისა და სკოლებში სექსუალური განათლების საკითხებს. თეატრალური დადგმების გზით, ახალგაზრდებმა გაითამაშეს პრობლემური სიტუაციები, განიხილეს ის სტერეოტიპები, რომლებიც დაკავშირებულია ადრეულ ქორწინებასა და სექსუალურ განათლებასთან და იმსჯელეს ამ საკითხების მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულებისა და მაღალი ინფორმირებულობის აუცილებლობაზე. შემეცნებით-გასართობი მეთოდის გამოყენებით ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია სექსუალური განათლების მნიშვნელობაზე და გაიზრეს აღნიშნული საკითხების შესახებ დამკვიდრებული სტერეოტიპების გავრცელებასთან დაკავშირებული საფრთხეები.

კლუბი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“

2019 წელს, ასოციაცია „ჰერა XXI”-ამ დაიწყო თანამშრომლობა რუსთავის ამერიკულ კუთხესთან, რის ფარგლებშიც, ორგანიზაციის ახალგაზრდულმა ჯგუფმა დაარსა კლუბი "ჯანსაღი ცხოვრების წესი". კლუბის ფარგლებში დაიგეგმა 4 საინფორმაციო სესია რომელთა მიზანი იყო ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მათი ცნობიერების გაზრდა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრებს ასოციაცია "ჰერა XXI"-ს შერჩეული თანასწორგანმანათლებლები ატარებდნენ. ამ გზით, ახალგაზრდებმა ინფორმაცია მათთვის გასაგებ და მისაღებ ენაზე თანატოლებისგან მიღეეს.

ახალგაზრდების განათლება



თანასწორგანმანათლებელთა მომზადება და განათლება ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიზნით ასოციაცია „ჰერა XXI" აპრილიდან ივნისის ჩათვლით თანასწორგანმანათლებლებისთის ატარებდა ვებინარების კურსს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 6 საინფორმაციო ვებინარი, ***სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების, ადრეული ქორწინების, ოჯახის დაგეგვმისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების*** თემაზე.

ვებინარები „ჰერა XXI"-ს მიერ ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული ახალი და ინოვაციური ფორმატია. ამ თანამედროვე მეთოდის გამოყენებით, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მათთვის მოსახერხებელ გარემოში მიეღოთ ინფორმაცია სრჯუ საკითხებთან დაკავშირებით.

კურსის გავლის შემდეგ, თანასწორგანმანათლებლებმა გაიღრმავეს ცოდნა და ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ტაბუირებულ თემებზე, რამაც მათ მისცა საშუალება მეტად კვალიფიცური ინფორმაცია მიაწოდონ თანატოლებს.

კამპანიები

კამპანია „განათლება ჩემი უფლებაა“

ასოციაცია აღიარებს ბავშთა კეთილდღეობის ზრდის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და თვლის, რომ ამ პროცესში ბავშვებისთვის ყოვლისმომცველ, ასაკზე მორგებული განათლება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. სწორედ ამიტომ, 1 **ივნისს ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღეს ,** ასოციაცია "ჰერა XXI" მსოფლიო კამპანიას შეუერთდა მესიჯით ***განათლება ჩემი უფლებაა.*** შესაბამისად, წელს

განსაკუთრებული ყურადღება ახალგაზრდა გოგონების განათლებასა და ინფორმირებულობაზე გაკეთდება.

ასოციაცია „ჰერა XXI”-ს თბილისისა და ხობის ახალგაზრდულმა ჯგუფებმა, ვაკის პარკში და ხობში ჩაატარეს შემეცნებით-გასართობი კამპანია. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მინი ვიქტორინა სახელწოდებით *"უპასუხე ჰერა XXI-ს"*. ვიქტორინაში მონაწილეებმა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების თემაზე მომზადებულ შეკითხვებს უპასუხეს. მსგავსი ტიპის ღონისძიებები ხელს უწყობს ინფორმირებულობისა და ცნობიერების გაზრდას ახალგაზრდებში. გარდა ამისა, ხობის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, ახალგაზრდებმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო თემატიკაზე ასფალტიც მოხატეს.

ასოციაცია „ჰერა XXI”-ს თანამშრომლობა ბოლნისის მუნიციპალიტეტთან

ქალთა ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 28 მაისს ქალთა ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე აღინიშნება. წელს, ამ დღესთან დაკავშირებით, ასოციაცია "ჰერა XXI"-გასვლითი შეხვედრით ესტურმა სოფლად მცხოვრებ, მოწყვლად ჯგუფებს და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახთან თანამშრომლობით მოსახლეობას შესთავაზა უფასო ტესტირება აივ ინფექცია/შიდსზე, B და C ჰეპატიტებსა და სიფილისზე. სოფლად მცხოვრები და მოწყვლადი ჯგუფებისთვის წვდომა ხარისხიან ჯანმრთელობის სერვისებზე, ხშირად სოციალურ-ეკონომიკური თუ გეოგრაფიული ბარიერების გამო შეზღუდულია. ამ ღონისძიების მიზანს სწორედ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა წარმოადგენდა.

კამპანია ადრეული ქორწინების წინააღმდეგ

ქალთა ჯანმრთელობის საერთაშორისი დღის ფარგლებში, ასოციაცია „ჰერა XXI” შეუერთდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ კამპანიასაც. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობით, ღონისძიების ფარგლებში სოფელ ქვემო ბოლნისის საჯარო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლე გოგონებს ჩაუტარდათ სემინარი თემაზე - „ნაადრევი ქორწინება და რეპროდუქციული ჯანმრთელობა“. სემინარის შედეგად, ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. საინფორმაციო შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ის სოციალურ-ეკონომიკური ბარიერები, რომლის წინაშეც ნაადრევ ქორწინებას ხშირად თან ახლავს.

კვლევითი საქმიანობა

კვლევა "უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის ბარიერები"

15 მაისს კვლევის „უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის ბარიერების" პრეზენტაცია გაიმართა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში, რეპროდუქციული ასაკის ქალებში ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერების გამოვლენა. კვლევის ფარგლებში, საქართველოს 7 რეგიონში სიღრმისეული ინტერვიუს პრინციპით გამოიკითხა 91 ქალი. მსგავსი მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა, არა მხოლოდ უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის ბარიერებთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის შეგროვება, არამედ რესპონდენტი ქალების სოციალური, ფსიქოლოგიური და

ემოციური სირთულეები გამოვლენა. კვლევა ქვეყნის მასშტაბით უპრეცენდენტოდ, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს 7 რეგიონში შეგროვდა სერვისით მოსარგებლე ქალების პირადი, ცოცხალი ისტორიები და გამოცდილება.

კვლევამ, საქართველოში, უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ფართო სურათი აჩვენა. ნათლად გამოჩნდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური ბარიერების გარდა, ქალებს სირთულეს ფსიქოლოგიური, მორალური და გეორგაფიული ასპექტები უქმნის. ასევე გამვლინდა, რომ სერვისით მოსარგებლე ქალებისთვის 5 დღიანი მოცდის პერიოდი ლეგალურ ბარიერად აღიქმება. კვლევის ფარგლებში, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის რეკომენდაციათა ნუსხა შემუშავდა.

კვლევის პრეზენტაციას ესწრებოდნენ სამედიცინო სფეროს პროფესიონალები, საქართველოს პარლამენტის, სახალხო დამცველის აპარატისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

www.forteachers.ge – ინოვაციური ვებ გვერდი მასწავლებლებისთვის

საქართველოს სკოლებში სექსუალური განათლება არ ისწავლება. თუმცა, კიტხები რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ მოსწავლეებს ადრეული ასაკიდან უჩნდებათ. ვებ გვერდი დაეხმარება მასწავლებლებს ესაუბრონ მოსწავლეებს აღნიშნულ თემებზე მათთვის გასაგებ, ასაკზე მორგებულ და მისაღებ ენაზე.

www.forteachers.ge ასოციაცია ჰერა XXI-ს მიერ შექმნილი ვებ გვერდია. ვებ.გვერდი მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი და მათ ამომწურავ ინფორმაციას მოსწავლეთა ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებით, ასევე სთავაზობს მათ სასარგებლო რჩევებს სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან სწორი კომუნიკაციის მიზნით, აწვდის ცოდნას შესაძლო პრობლემების (სამედიცინო, ფსიქოლოგიური, ქცევითი და ა.შ.) და მათი მოგვარების გზებთან დაკავშირებით.

მედია ჩვენზე

15 მაისს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს გადაცემაში „დილა მშვიდობისა საქართველო“ ჩვენი კვლევის „უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის ბარიერების“ ანონსი გავიდა. გადაცემაში, „ჰერა XXI”-ს დირექტორმა, ნინო წულეისკრიმა ისაუბრა საქართველოში, უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობაზე და მიმოიხილა ის ბარიერები, რომლებიც სერვისით მოსარგებლე ქალებს ხელს უშლით თავისუფალი არჩევანის გაკეთებაში.

გარდა ამისა, ასოციაცია „ჰერა XXI”-ს მიერ ჩატარებული კვლევა, ონლაინ მედია პლატფორა JamNews-ს გამოცემაშიც მოხვდა. კვლევას ვრცელი სტატია დაეთმო, სადაც მიმოხილულია ძირითად მიზეზებში, რომელთა გამოც საქართველოში ქალები არალეგალურ აბორტს მიმართავენ. სტატიაში განხილულია ის ძირითადი ბარირები, რომელსაც უსაფრთხო აბორტის სერვისით მოსარგებლე ქალები აწყდებიან. ინტერვიუში, ასოციაციის დირექტორმა, ნინო წულეისკირმა მიმოიხილა საქართველოს მიერ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით ნაკისრი ვალდებულებები და პოლიტიკის დოკუმენტები.

საინფორმაციო ბიულეტინი მომზადებულია
ასოციაცია „ჰერა XXI”-მიერ

ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერს www.hera-youth.ge ან
გვესტუმრეთ ფეისბუქზე ASSOCIATIONHERAXXXI

და გაიგეთ მეტი ჩვენი საქმიანობის შესახებ